პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5.000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად, ხელნაწერები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე, უქმეების გარდა.
საქ. სამხ. კ-ს შენ. პირ. სრთ.
რუსთაველის პრ. № 31

პარასკევი 30 მარტი
1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 246 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 246

განცხადება

საქართველოს დივიზიის პარტ-კომისია განმეორებით წინადადებას გაძლევთ ყველა ბიურო-კოლექტივებს, კომუჯრედებს და კერძოთ პარტიის წევრებს მიიღოთ პარტ-ბილეთები პარტ-კომისიაში 5. აპრილამდის

პარტ-კომისია

მ ა ს ხ ა ლ დ ე ბ ა

პარტ-კომისია საქართველოს დივიზიისა წინადადებას გაძლევთ ყველა საკუთმებს და ბიურო კოლექტივებს 5 აპრილამდე წარმოადგინოთ სიები იმ ამხანაგების, რომლებმაც მიიღეს დროებითი პარტ-ბილეთები და გატარებული არიან გადაანგარიშებაში, მხოლოდ უნდა იყოს აღნიშნული, თუ სად გაიარეს გადაწერა.

პარტ-კომისია.

ძირს რელიგია. გაუმარჯოს მეცნიერებას!..

ყველა რელიგიები ერთნაირი რეაქციონური და მავნენი არიან ხალხის პროგრესისათვის. ამათ შორის ყველაზე უფრო მძაფრი და სასტიკი მოწინააღმდეგე მასების რევოლიუციონური მოძრაობისა გახლავთ ქრისტიანობა. ის მეტად მძლავრი იარაღი გამოდგა მასების რევოლიუციონურ ბრძოლაში წინააღმდეგ, გაბატონებული კლასების ხელში.

ქრისტიანობა მონების სულიერ დაშოშმინების პირველი მიღწევა იყო, რომელიც პრინციპით ღირსეულს ბრძოლის უარყოფს, მორჩილებას: ამ რელიგიის ყველა მცნებები ამ აზრით აჩლუნგებს ადამიანის გონებას და ახაზრდოვებს მას ზეციურ მუდმივ ნეტარებაზე.

ცხადია, ბედისადმი მორჩილებამ და საიქიოს ბედნიერებამ, რომელიც უქადაგებდა პრინციპით ამ ქვეყნიურ წარმავალ ბედნიერებას, მონებში დიდი გავლენა იქონია, რადგან ამ ქვეყნიურ ბედნიერებისათვის მათ არავითარი იმედი არ გააჩნდათ.

ქრისტეს მოძღვრება. ამიტომ დიდი იარაღი დარჩა გაბატონებულ კლასის ხელში! და ეს მოძღვრება კიდევ უფრო გამოიყენეს მასების დაბნელებისა და დამონებისათვის.

ამ რიგად ქრისტიანობა გაბატონებულ რელიგიათ ხდება; ეს კიდევ 19 საუკუნეში. ამ რელიგიამ შექმნა ისეთი ყალბი უცვლელი ფორმები, რომლის ამოფხვრა თანამედროვე კაცობრიობას დიდი სიძნელით უხდება.

აქედან იწყება ბრძოლა რელიგიასა და მეცნიერების შორის. გონებით ბრძოლა-ურწმუნოებასა და ცრუმორწმუნეობასთან, მწვავე ხასიათს ღებულობს.

ჩვენ გვინდა აქ აღვნიშნოთ თუ რა პირობებში ვითარდებოდა ეს ბრძოლა.

ქრისტიანობის წარმოშობის დღიდან მის გავრცელებისათვის სისხლის მდინარეები იყო დანთხეული. დიდი ომები, ინკვიზიცია, ცეცხლი და მახვილი აი რით დაიწყო გავრცელება ქრისტიანობამ. პრინციპი მისი კი სულ სხვა იყო, როგორც ვიცით: სიმშვიდე, მორჩილება და ლმობიერება.

ამ წინააღმდეგობას ალარავინ არ ამჩნევდა. ასეთი გზით, საშუალო საუკუნეში ეკლესია უმაღლეს წერტილს აღწევს და მის წინააღმდეგ მცირედი პროტესტი დამოუკიდებელ აზროვნების მეცნიერების დარგიდან—სასტიკ სასჯელს და დევნას განიცდიდა. ჩაგრული ხალხი, მასები ისევ ნუგეშს ამ ეკლესიაში და სარწმუნოებაში პოულობდნენ.

მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მარტო იდეა შიში არ შესძლებდა მასების უკუღმა ტრიალი, თუმცა ამ საშუალებას ახმარებდნენ კიდევ: სასწაულებს, მისტიურ გარეგნობას ტაძრებისას, რომლის შინაგანი ნაწილი; საზეიმოთ მორთული სიმშვენიერის ბლდღურს აფრქვევს მაყურებელთ. მშვენიერი მუსიკა, გალობა ათრობს და აჯადოებს საწყალს, ბედით დაცემულს, მორწმუნეებს და ის აქ პოულობს მოსვენებას. უბედური და გონება მიბნდილი მუხლს იდრეკს ასეთ სანახაობის წინაშე.

მას უჩნდება თავში ბუნდოვანი წარმოდგენა ღვთაების, დიდი ხნის ფეხზე დგომით და გაბრუებით. აქ მორწმუნეს ხილიცავად მოსულს ყველაფერს სჩრიდენ ყურში, ბატონის მორჩილების ხელმწიფის ერთგულების.

მაგრამ ასეთ ცრუ ცერემონიალს აღუდგა წინ მეცნიერება—სასტიკი მტერი ყოველგვარ ცრუმორწმუნეობის. კაცობრიობამ გადასდგა ნაბიჯი, წავიდა წინ. აღმოჩნდა რომ მიწა ყოფილა სფეროული, მოძრაობს: ის არ ყოფილა ღმერთის შექმნილი, არამედ ერთი ნაწილთაგანი მსოფლიო სისტემის. სასწაულების სიბნელეში თან და თან შესდის ეჭვი მასსებს, როცა მეცნიერება, მას ელობება წინ და ააშკარავებს მის უმწეობას და არარობას.

ცხადია ეს ბრძოლა გრძელდება საუკუნოების განმავლობაში. მონობიდან განთავისუფლებულ ადამიანის აზრი ყოველ გვარ საზღვარს სცილდება თავის აღმაფრენით, შემოქმედებით და გაბედულებით.

ამიერიდან ღმერთები გადაიქცა სასაცილო ტიკინებად, და მათი მოძღვრები—კლოუნებად.

მეცნიერება მიიკვლევს გზას წინ. კომუნისტები, რომლებმაც დაიწყეს ცხოვრების შენება ახალ საფუძველზე—ანადგურებენ ცრურწმენის ბარბაროსულ ნაშთებს, აწარმოებენ ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ და სამუდამოდ ამტვრევენ ძველ ქვეყნის მთავარ ხერხემალს.



დეპეშები

— ამხ. ლენინს ფილტვებისა და სხვა შინაგან ორგანოების მხრივ არავითარი ცვლილება არ ემჩნევა: 28 მარტს ტემპერატურა ჰქონდა—38, პულსი—110, სუნთქვა—28.

— მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციაზე მიღწეულ იქმნა შეთანხმება ოსმალეთისადმი პასუხის შესახებ.

— საერთაშორისო მუშათა მოძრაობა თანდათან ღრმავდება.

— ვლადივასტოკიდან იუწყებიან, რომ იაპონიის პალატამ მიიღო კანონ პროექტი რუსეთ-იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლების დაჩქარების შესახებ.

— ფინეთის დელეგაციას განზრახული აქვს აპრილის პირველ რიცხვებში გაემგზავროს მოსკოვში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

საბჭოთა რუსეთში

დომბალი პოლონეთის შესახებ.

— მოსკოვის საბჭოში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დომბალმა პოლონეთის მდგომარეობის შესახებ. დომბალმა სთქვა, რომ პოლონეთი ღარიბია, მთავრობას მაინც ყავს ერთი მილიონი ჯარის კაცი. დიდ გაჭირვებაშია პოლონეთის საფეიქრო მრეწველობა. ფართლეულობა ბევრია; მაგრამ არ იყიდება. პოლონეთის ფული ძლიერ დაეცა. სიძვირე თანდათან იზრდება და მუშების მდგომარეობა ყოველ დღე უარესდება. პოლონეთის მუშები და გლეხები იბრძვიან, მაგრამ ბურჟუაზია ამარცხებს მათ. ვარშავაში დახურულია ყველა პროფკავშირები და მუშათა გაზეთები. დომბალმა სთქვა, რომ ამჟამათ არის ორი პოლონეთი: ბურჟუაზიული, რომელიც ანტანტას სურვილებს ასრულებს და მუშა გლეხური, რომელიც საბჭოთა რუსეთის მომხრეა და მისგან ელის შველას.

შემდეგ დომბალმა აღნიშნა, რომ პოლონეთის მუშები დარწმუნებულნი არიან, რომ თავიანთ უფლებებს მოიპოვებენ მხოლოთ მუშებთან კავშირით.

დასასრულ ამხ. დომბალმა სთქვა: დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როდესაც ვარშავაში გაიმარჯვებენ მუშათა საბჭოები.

დომბალს უპასუხა მოსკოვის საბჭოს გამგეობის წევრმა ამხ. ველტოვმა. მან სთქვა, რომ დომბალის ყოფნა რუსეთში მჭიდროთ დააკავშირებს რუსეთსა და პოლონეთის მშრომელ ხალხსა.

დახმარება ოსმალეთის კომუნისტებს.

— რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარებელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გაგზავნა 500 მანეთი ოქროთი ოსმალეთის საპატიმროებში მყოფ კომუნისტებისთვის. ეს ფული მოხმარდება მათი დაცვის საქმეს

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.

სწყვეტენ კავშირს ყვითლებთან.

— ბუდაპეშტის მელითონეებმა უარყვეს დამქირავებელთა და პროფკავშირების ხელმძღვანელთა შორის დადებული შეთანხმება, რომლის თანახმად 25 მარტს მუშაობა უნდა განახლებულიყო. მრავალ ქარხნებში ამ დღეს მუშები არ გამოცხადდნენ. ზოგიერთ ფაბრიკებში გამოცხადებულმა მუშათა ჯგუფმა უარი სთქვა მუშაობაზე, და მოაწყო კრება, რომელზედაც სასტიკად ილაშქრებდნენ ყვითელ ბელადების მიერ დაკავებული პოზიციის წინააღმდეგ. მუშების მიერ განზრახული საპროტესტო დემონსტრაცია არ იქმნა დაშვებული პოლიციის მიერ. პროფკავშირების ბელადებს იმედი აქვთ, რომ დაარწმუნებენ მუშებს დაიწყონ მუშაობა, მიუთითებენ რა დამქირავებელთა დაპირებაზე, რომ მახლობელ თვეებში მოგვარებული იქნება საკითხი შრომის ხელფასის შესახებ.

ყვითლების უძლურება.

— ბუდაპეშტში გახსნილ უნგრეთის პროფკავშირების კონგრესზე ამსტერდამის წარმომადგენელთა მონაწილეობით, აღნიშნულია, რომ უნგრეთის ორგანიზაციებში მყოფ მუშათა რიცხვი აღწევს 203.000, 22 წელში კი მათი რიცხვი უდრიდა 100.000 ქასჯიმ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა საბჭოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა პროფკავშირთა ორგანიზაციების თავისუფლების დასაცავათ ჯერჯერობით უნაყოფოთ ჩაიარა, პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს მუშათა საავადმყოფო კასების ავტონომიის აღდგენას, შრომის ხელფასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების რეგლამენტაციას კანონის მიერ, მინიმალური განაკვეთის დაწესებას, ორმოცდა რვა საათის სამუშაო კვირის შემოღებას ბავშვისა და ქალის შრომის დაცვის შემოღებას

ლატვია

შავრაზმელთა ლონისძიება უნაყოფოა.

— რომიდან იუწყებიან, რომ ნაციონალურმა კლუბმა, ახალგაზრდობის ნაციონალურ კავშირთან და სხ. შავრაზმელთა ორგანიზაციებთან ერთად გამართეს რიგაში ებრაელთა წინააღმდეგ პროტესტის დღე. ქალ. ავტომობილები დადიოდნენ და ჰყრიდნენ ფურცლებს მოწოდებით—არავინ არაფერი იყიდოს, არ გაყიდოს ებრაელთა მაღაზიებში.

ახლო აღმოსავლეთი.

მორიგდნენ.

— ლონდონიდან იუწყებიან რომ 22 მარტს გარეშე საქმეთა სამინისტროში კერზონის თავმჯდომარეობით, შესდგა მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციის პლენარული სხდომა. კონფერენციაზე მიღწეულ იქმნა შეთანხმება ოსმალეთისადმი პასუხის შესახებ. მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნ ბაში ნათქვამია, რომ პასუხი გამომუშავებულია და გადაეცა მთავრობებს დასტურისათვის. დასტური მიცემულ უნდა იქნეს 48 საათის განმავლობაში. კონფერენციის შედეგები საიდუმლოთ ინახება.

მცირე მნიშვნელოვანი დათმობ

— კომპეტენტურ წრეებში ამბ ბენ, რომ მოკავშირეთა ექსპერტ ბის კონფერენციამ მცირე მნიშვნ ლოვან დათმობაზე წავიდა, ოსმალ თთან.

ქემალ ფაშას განცხადება.

— ინგლისელ გაზეთების ცნ ბით, ქემალ ფაშამ განაცხადა, რ ოსმალეთის ჩარევა ხელახალ ო რაიმე საშიშროების გარეშე მორ მოქმედება იქნებოდა. ქემალ ფა მშვიდობიანობის დაცვის იმედი მოსთქვა იმ შემთხვევაშიაც კი, ინგლისი ოსმალეთის წინადადე უარყოფს.

სხვა და სხვა ამბე

მუსოლინი იმუქრება.

— მუსოლინის გაზეთი „იდეა ციონალი“ აფრთხილებს იტალი სოციალ დემოკრატებს, რომელნი გამგურგის თათბირში ღებულო მონაწილეობას, არ სთქვან რა მთავრობის წინააღმდეგ. მუსოლ იმუქრება, რომ დააპატიმრებს ვინც მთავრობის წინააღმდეგ პარაკებს.

რაც უფრო მალე დაიშლებ მით უკეთესია.

— გაზეთი „ტაიმსის“ აზრით „ფიგაროში“ მოთავსებულია ლი, რომელშიაც ნათქვამია, საფრანგეთის პოლიტიკა უნდ ცვალოს,—ამჟამა იერიშია ნტის წინააღმდეგ. „ვესტმინსტ ზეტი“ ამტკიცებს, რომ ანტან და პარიჟს და თუ საფრანგეთს სუ გამოვიდეს ანტანტის კავშირიდ ეს საფრანგეთმა აშკარათ უნდა მოაცხადოს, რომ ანტანტამ ეს ს რვილი წინდაწინვე იცოდეს.

ჩვენს წითელ ჯარში

საჭიროა-მეტი სისასტიკე.

22 და 24 მარტს ქართულ დივიზიასთან არსებულმა რევტრიბუნალმა გაარჩია 1-ლ ქართულ ლეგიონში რამოდენიმე საქმე. 1-ლი ბრალდებული იყო ლეგიონის ქსენონის დეზინფექტორი ლიპანავა, რომელსაც ზეწრის მითვისება ბრალდებოდა, მეორე ბრალდებული იყო—საიქოძე, რომელსაც ბრალდებოდა სისტემატიური დეზერტირობა. მესამე საქმე იყო წ. ა. არჩაიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 10 ფ. შაქრის მითვისება.

1-ლი ბრალდებული ლიპანავა ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ იქნა. მეორე ბრალდებულ საიქოძეს მისაჯა 10 თვის გამასწორებელ სახლში ჯდომა. და მესამეს არჩაიას კი წელიწად ნახევარი.

ამ საჯარო სხდომებს დაესწრო აუარებელი წითელ არმიელები და უფშემადგენლობა, რომელთა ფსიქოლოგიაზედაც ძლიერ იმოქმედა ასეთმა სასჯელმა.

ქ. მთიელი.

რევოლიუციის 6 წლის თავი 1-ლ ლეგიონში

12 მარტს 1-ლ ლეგიონის კლუბში შესდგა ამავე ლეგიონის უფშემადგენლობისა და წითელ არმიელთა საერთო კრება; დაესწრნენ აგრეთვე ლეგიონის ახლო მოსახლე მოქალაქენი. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ხუციშვილი. თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამკომი ამხ. ნ. ნანაძე. მომხსენებელი ვრცლად შეეხო რევოლიუციის წინა დროებს და იმ მოძრაობას, რომლის მეოხებით დამხობილ იქმნა თვით მპყრობელობის ტახტი.

შემდეგ ამავე თემაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ელიაშვილმა. ორივე მოხსენება კრებამ დიდის ინტერესით მოისმინა და გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება მთელის შემადგენლობით ფიცს სდებს იყოს რევოლიუციის ერთგული დარაჯი.

შ. სოლელი.

თებერვლის რევოლიუციის მეექვსე წლის თავზე

ა. წ. 12 მარტს ყოფილი სამხედრო ეკლესიის გალავანში შესდგა თებერვლის რევოლიუციის მე 6-ე წლის თავის აღსანიშნავად მეორე ლეგიონის წითელ-არმიელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო [illegible] საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა ბიუროკოლექტივის სახელით ამხ. ს. ბასილიამ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. ცაგარეიშვილი. რომელიც აღნიშნავს იმპერიალისტური ომების მიერ მომწიფებულ პირობებს სოციალისტური რევოლიუციისათვის, და აგრეთვე რუსეთის მუშათა კლასზე მთელ მის სიმძიმეს, მასთან გამოწვეულ ეკონომიურ კრიზისს, და 1917 წ. გაფიცვებს აჯანყებებს, და დემონსტრატიულად მეფურ თვით მპყრობელობის წინააღმდეგ გამოსვლებს. მომხსენებელი აგრეთვე შეჩერდა ჯარის და მუშების შეკავშირებაზე და მათ ლოზუნგებზე.

აღნიშნა მეფური ტახტის დამხობა თებერვლის უკანასკნელ დღეებში და დროებითი მთავრობის შედგენა, მომხსენებელი შეეხო მოკლედ აგრეთვე კერენსკის მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას, ახასიათებს ოქტომბრის რევოლიუციისათვის მომწიფებულ პირობებს.

აღნიშნავს რომ ძველ მეფურ და მღვდლების ჯვარის მაგიერ მეორე ლეგიონის ტაძარზე აფრიალეთ წითელი დროშა, და მუშების გონების და აზროვნების დამაჩლუნგებელი ტაძარი ჩვენ გადავაქციეთ განათლების ტაძრათ.

მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

შ. ც—ლი.

ჩვენს ხმასაც ვუერთებთ ამხანაგ მუშებს.

ამ დღეებში იყო მოთავსებული წერილი „მიწის მუშაში" მუშების, 45 კაცისაგან ხელმოწერილი, რომელთაც დაუდგენიათ კრებაზე, რომ სთხოვონ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ გადასცეს მათ განკარგულებაში ალექსანდროვის ბაღის საყდარი" რომელიც უნდა მოწყონ და გარდაქმნან „განათლების ტაძრათ".

ამ ჯგუფის მუშებმა, კარგათ იციან რომ „რელიგია", არის მათი გონების დამხშობი იარაღი ბურჟუაზიის ხელში, სადაც მუშებს და გლეხებს, უხშობდენ გონებას და აკარგვინებდენ კლასიურ შეგნებას, რომ ვერ გარკვეულიყვნენ მტერსა და მოყვარეში, მაგრამ როდესაც დღეს თვით მუშები და გლეხები, განაგებენ თავიანთ ბედ იღბალს, არ ესაჭიროებენ „ცრუმორწმუნეობის" დიდი ხნის არსებობას და მოითხოვენ მისი ძირიან ფესვიანათ აღმოფხვრას და მეცნიერების გამარჯვებას. ჩვენი ნაწილი სამხ. სკოლის წითელი არმიელები, პოლიტ-შემადგენლობა და უფშემადგენლობა ვუერთებთ ჩვენ ხმასაც ამხ. მუშებს, და ვუსურვებთ ახლო მომავალში მათ მიერ პირველი გამოძახილის განხორციელებას, რომელსაც საერთოდ წითელი ჯარისათვისაც, აქვს დიდი მნიშვნელობა.

გაუმარჯოს მუშებს!

გაუმარჯოს წითელ არმიელებს!

ვალერიანი

პარტიული-ცხოვრება მე-2-რე ლეგიონში

19 მარტს მოხდა 1-ი კომუჯრედის კრება. კრებას დაესწრნენ პარტიის წევრები, კომკავშირის წევრები და მრავალი, უპარტიონიც. კრებამ დიდის აღტაცებით და აღფრთოვანებით მოისმინა ამხ. კრჩიაშვილის მოხსენება „აჭარისტანის გასაბჭოების ორი წლის თავის" მნიშვნელობაზე მიღებულ იქნა მომხსენებლის შესაფერი რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელის უფლება მთელი თავისი ძალღონით ემსახურება ხალხს. ამ ორი წლის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მიწის საკითხს, ჯანმრთელობის [illegible] სწავლა-განათლებას და სასამართლოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აჭარისტანის მშრომელი ხალხი ცეცხლითა და მახვილით უპასუხებს საბჭოთა ხელის უფლების მტრებს, რომლებიც გაბედავენ მათთან მისვლას.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა განცხადება ამხ. ყარჩიაშვილისა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგიერთი ამხანაგები ერთობ გულ გრილათ ეკიდებიან პარტიულ საქმეებს. კრებამ გამოიტანა გაფრთხილება ასეთი ამხანაგების საყურადღებოთ.

სამხკორი ვ—ვა.

რაზმელ მეწერენ

კედლის გაზეთები

კედლის გაზეთები საერთოდ წითელ ჯარში და კერძოთ ქართულ ნაწილებში, რომ დიდ საქმეს აკეთებენ—ამაზე ზედმეტია ლაპარაკი! იგი, რომ ანათებს ნაწილის ცხოვრებას ყოველ მხრივ და უჩვენებს ყველას თავის ნაკლსა და დადებითი მხარეებს, კედლის გაზეთებმა ბევრი რამ შესძინეს ჩვენს წითელ არმიელებს! მასში ბევრი იწვრთნება და თუ ჩვენს გაზეთ „წითელ-არმიელს" ჰყავს სამხკორები მათი უმრავლესობა ჯერ კედლის გაზეთებში გაწვრთნილი. ბევრი უსიამოვნება ატყდება საგამომცემლო წრეებს ნაწილებში, გაზეთში [illegible] პირებისაგან, მაგრამ [illegible] მაინც განაგრძობენ მუშაობას და არ ზოგავენ არაფერს, მაგრამ, როგორც პირველი ლეგიონიდან გვატყობინებენ სადაც ეს მეორე წელია სისტემატიურად გამოდის გაზეთები—ხდება სამწუხარო ამბები. ვიღაცა ბნელი ძალები ან ჩამოხევენ და ან ისე გასვრიან, რომ აღარავინ იცნობს. საჭირო ვისგანაც ჯერ არს მიექცეს ყურადღება და ნუ აუცრუებთ გულს ჩვენს ჯარში ერთგულ მომუშავეებს?

ხანი.

ჩვენი ფოსტა

ამხ. ჰაავას—რედაქცია გთხოვთ სისტემატიურათ გზავნოთ ცნობები და მოკლეთ სწეროთ.

ამხ. ნაპერწკალს—მოგვაწოდეთ კორესპონდენციები. ფელეტონები სუსტია.

ეროვნული საკითხი და ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა

ჩვენი დამოკიდებულება გლეხობასთან უკვე საკმარისათ გარკვეულია, მაგრამ ჩვენს ეროვნულ საკითხს კიდევ ესაჭიროება გარკვევა და მოფიქრებული შესწავლა.

ნისავუფიქრდეთ, რას შეიძლება დამივთ **ეროვნული საკითხის „გა-** ტის".

ჩამოაშორეთ თვითეულ ერს ყოვე ზღუდეები, რომელიც ხელს ლის მას, რომ ის შეეზიაროს ლიო კულტურას იმ ენის საებით, რომელსაც ეს ერი თაკუთარ სამშობლო ენათ სთ-". როცა ჩვენ შევქმნით თვი- ერისათათვის განვითარების პირობებს, მაშინ ჩვენ შეგვიძსთქვათ, რომ ჩვენ ეროვნუკითხი გადაჭრილი გვაქვს. მალიდანამის მიღწევას კიდევ მეტი რამ ება და უპირველეს ყოვლისა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკავშირის კონებრივი და კულტურული დაწინაურებაც.

რა თქმა უნდა ჯერ კიდევ დრო დასჭირდება და ძალიომ გვინდოდეს ამ დროს ჩვერევოლიუციამებრ ვერ შევამოკ-

ჩვენ ლევენ ხელთ არაა''.

ერთი რამ კია ჩვენზე და ული და ეს ჩვენ კი აუცი- უნდა ვქნათ. „ჩვენ უსა- უნდა დავანხვოთ და დავუმ იმ ერებს, რომლებიც დღეს ინ კავშირში იმყოფებიან, ლსაც უწინ მეფის მთავრობა და, რომ თუმცა ჩვენ მეგთ გვაქვს მოთხოვნილება დაუკმაყოო გვრჩება, ეს იმიტომ კი " ჩვენ არ გვსურს მათი ების მიქცევა, არამედ იმირომ, ჩვენ დღეს დღეობით არ რძს მეტის მიცემა.

მაგრამ ამას სიტყვით ჰრავინ არ დაგვიჯერებს, არც პროგრამით რომ ყოველივე პროგრამაში ჩავწეროთ.

ეს უნდა დავამტკიცოთ ჩვენ საქმით.

ჩვენს პასუხს ჩვენ მაგივრათ ჩვენი საქმე უნდა ამბობდეს. უწინდელი რუსეთის მთავრობა რამოდენიმე საუკუნოები სჩაგრავდა ამ პატარა ერებს. ამ ერების გულში დიდი ხნიდანაა დაგროვებული ბოღმა და სიძულვილი, ამის მოსპობა და გაქარვება უბრალო განცხადებითა და დაპირებით შეუძლებელია.

ჩვენ გამოვიარეთ სამოქალაქო ომი. ამაში ერთი რამეა სხვათა შორის საგულისხმო. ამ ომის დროს მშრომელი ხალხი ეროვნების განურჩევლათ ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიოდა თავის კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, რა თქმა, უნდა ომის დროს სხვა და სხვა ერებს არავითარი შეღავათი. და ბედნიერება არ უგვრძნიათ საბჭოთა კავშირში ყოფნით.

ან კი რა უნდა რგებოდა ვინმეს სახეირო მაშინ, როდესაც ჩვენ გარეშემო ყოველ მხრიდან მტერი გვაწვებოდა და განადგურებას გვიპირობდა.

და თუ დღემდე, სანამ ჩვენ სამოქალაქო ომის ცეცხლში ვიყავით გახვეული, ვერავინ გვსაყვედურებდა უყურადღებობას ვინ ვერ მიხვდება, რომ ჩვენ იმ დროს საამისოთ არ გვეცალა. ეხლა, როცა დაწყნარებულ ცხოვრების პირობებში ვიმყოფებით და როცა ჩვენ უკვე შევუდექით მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას, სწორეთ ეს პატარა ერები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, თუ რა სარგებლობა მოუტანა ან რას მოუტანს ახლო მომავალში მათ საბჭოთა კავშირში ყოფნა.

აქ მოძებნიან და ეძებენ კიდეც რაიმე საბაბის ჩვენი მტრები. მოქმედობდნენ საქართველოდან გამორეკილი მენშევიკები საზღვარ გარეთ.

მათ რომ ჰკითხოთ, მენშევიკების საქართველოდან გაძევება—ეს ქართველი ხალხის დაპყრობა იყოთ.

ჩვენ ვამტკიცებდით და საამისოთ საკმარისი საბუთებიც გვქონდა, რომ მენშევიკების საქართველოში არსებობაზე, თუ იმათი იქედან გაძევებაზე დამოკიდებული იყო მთელი ჩვენი რევოლიუციის სვე-ბედი, ჩვენ ისიც ვიცით, რომ პროლეტარული რევოლიუციის მიზანი და მისწრაფება სრულებით არ ეწინააღმდეგება პატარა ერების ინტერესებს.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ რევოლიუციის დროს შეიძლება მოხდეს ისე რომ, ძალიანაც რომ მოვერიდო იქნებ მაინც აზარალო და ავნო რამე რომელიმე ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

ეს აქა იქ კიდეც მოხდა. ამ შემთხვევაში ერთად ერთი სწორი გზა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ქართველ გლეხს, რომ მისი ეროვნულ-კულტურული ინტერესები, მისი ეროვნული გრძნობა, მისი ეროვნული თავმოყვარეობა, რომელნიც მეფის მთავრობის დროს ბევრჯერ ყოფილა ფეხქვეშ გაგებული უღირსათ დაცული და დაკმაყოფილებული იქნება იმდენად, რამდენათ დღევანდელი ცხოვრების პირობები ამას შეგვაძლებინებენ.

ეროვნული საკითხი მით მეტ საფრთხესა და საშიშროებას წარმოადგენს, რომ ჩვენ პარტიაში არის ახალი თაობა ახალგაზრდობა, რომელსაც სრულებით არავითარი გამოცდილება ეროვნული საკითხის შესახებ არ მოეპოვება.

მეფის მთავრობის დროს ეს საკითხი ჩვენ დიდ ყურადღებას იპყრობდა და ჩვენ ყოველ დღიურ აგიტაციის დროს მას დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით. არც ჩვენ პარტიულ მრეწველობას ჰქონია ეს საკითხი დავიწყებული. ის პარტიული ამხანაგება, რომლებმაც გამოიარეს მეფის დრო, იმათ ეს კარგათ ახსოვთ, თუმცა თითო ოროლა გულმავიწყი აქაც ურევია.

ახალგაზრდა ამხანაგები ამ დროს არ მოსწრებიან, მაშინ, როცა ისინი პარტიულ მუშაობის უღელში შებენ, ეროვნული ჩაგვრა უკვე მოსპობილი იყო თვითმპყრობელობასთან ერთათ.

ახალგაზრდებს უფრო კარგათ ესმით საბჭოთა ხელისუფლების მტრების თავდასხმიდან დაცვის საქმე. იქ გამოცდილებაც სხვანაირი იყო და მოქმედებაც სხვანაირი იყო საჭირო, მაგრამ ახლა, როცა ჩვენ მშვიდობიან აღმშენებლობის ბილიკზე შევდგით ფეხი იმათ ჰგონიათ, რომ აქაც სამხედრო წესით მუშაობა სავსებით საკმარისი და გამოსადეგია. აი სწორეთ ამიტომაა! რომ ჩვენი ახალგაზრდობა ისე უპირობს ხშირათ ამ საკითხს გადაწყვეტას. როგორც მაგალითად ეს წმუნოების საკითხი იქაც და აქაც ერთნაირათ ხელის მოქნევით აპირობს საქმის მოგვარებას.

როცა ჩვენ ოქტომბრის საბრძოლველად ვემზადებოდით, ჩვენ ერთი რამე კარგათ გამოვიანგარიშეთ.

ჩვენ ჯეროვანი ყურადღება მივაქციეთ გლეხკაცობას.—

რომ, ვინიცობაა, ჩვენ ასე არ მოვქცეულიყავით, ჩვენ ბრძოლას უსათუოთ წავაგებდით და საბჭოთა ხელისუფლება ეხლაც სიზმარი გვექნებოდა, მაგრამ პრაქტიკულად—საქმეზე გლეხობის მნიშვნელობა და საჭიროება ჩვენ მხოლოთ ოქტომბრის შემდეგ შევიგნეთ.

უწინ ეს ჩვენი მეცნიერული ანგარიშის დასკვნა იყო, დღეს ჩვენი გამოცდილების ნაყოფია.

ახალგაზრდობა ამ საკითხს პირდაპირ ცხოვრების სიღრმეში შეხვდა, ეხლა ის ამ საკითხს, რომელსაც უწიგნო მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული შეხვდა, ითვისებს როგორც ჩვენ მოძღვრების დებულებას და როცა ის ამას თავს გაართმევს, მხოლოთ მაშინ ექნება მას ამ საკითხის მთელი სიდიდე და მნიშვნელობა კარგათ გათვალისწინებული.

, რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, ურიგო არ იქნება, რომ ზოგიერთ ჩვენ ხნიერ, მაგრამ გულმავიწყი ამხანაგები დროს იშოვიდენ და წარსულის მაგალითებს გაიხსენებდენ და გაიმეორებდენ. ახალგაზრდებმა კი ჯერ ეს საკითხი უნდა გულდასმით შეისწავლონ და თანაც რამდენათაც შეიძლება ბეჯითათ, თორემ ეროვნული საკითხის აბუჩათ აგდება ძალიან სახიფათო საქმეა და ვინც მის ჯეროვანად გადაჭრას ვერ მოახერხებს, შეიძლება კისერიც მოიტეხოს.

ლ. ტროცკი.

ნ. დ. დ. ს. ც.

ტირაჟი 1500.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.